სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის

ბრძანება №177/37
2013 წლის 2 სექტემბერი

ქ. თბილისი

„პოლიტიკური საქმიანობის დაფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად ფინანსური ანგარიშის ფორმებისა და მათი შევსების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 17.08.2012 წლის №142/37 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „მ" ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„პოლიტიკური საქმიანობის დაფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად ფინანსური ანგარიშის ფორმებისა და მათი შევსების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2012 წლის 17 აგვისტოს №142/37 ბრძანებაში (ვებ გვერდი, 17.08.2012; სარეგისტრაციო კოდი: 010320010.58.070.016004) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანებით დამტკიცებული „პოლიტიკური საქმიანობის დაფინანსების შესახებ ანგარიშგების ფორმების შევსების წესი"-ს მე-5-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. ანგარიში შემოწირულების/საწევრო შენატანის შესახებ

1. შემოწირულების/საწევრო შენატანის შესახებ ანგარიში მოიცავს შემდეგ ფორმებს:

ა) ფიზიკური პირების მიერ განხორციელებული ფულადი შემოწირულებები – ფორმა №10;

ბ) ფიზიკური პირების მიერ განხორციელებული არაფულადი შემოწირულებები – ფორმა №11;

გ) საჯარო ღონისძიებებთან დაკავშირებული შემოწირულებები – ფორმა №13;

დ) ფულადი საწევრო შენატანები – ფორმა №14;

ე) იურიდიული პირების მიერ განხორციელებული ფულადი შემოწირულებები – ფორმა №16;

ვ) იურიდიული პირების მიერ განხორციელებული არაფულადი შემოწირულებები – ფორმა №17.

2. ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა შეავსოს ამ მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი ფორმა იმის მიხედვით, თუ რა კატეგორიის შემოწირულება მიიღო."

მუხლი 2

დამტკიცდეს:

1. საწევრო შენატანები და შემოწირულებები – ფორმა №1 (დანართი №1);

2. ფიზიკური პირების მიერ განხორციელებული ფულადი შემოწირულებები – ფორმა №10 (დანართი №2);

3. ფიზიკური პირების მიერ განხორციელებული არაფულადი შემოწირულებები – ფორმა №11 (დანართი №3);

4. იურიდიული პირების მიერ განხორციელებული ფულადი შემოწირულებები – ფორმა №16 (დანართი №4);

5. იურიდიული პირების მიერ განხორციელებული არაფულადი შემოწირულებები – ფორმა №17 (დანართი №5).

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის

ლაშა თორდია